



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება № 47

2011 წლის 15 აპრილი

ქალაქი ხაშური

„ხაშურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის 2011 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 26 ნოემბრის N139 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

1. „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 26 ნოემბრის #139 განკარგულებით დამტკიცებულ „ხაშურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის 2011 წლის მუნიციპალურ პროგრამაში“ შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) პროგრამის პირველი მუხლის მე-3 პუნქტში რიცხვი „93914“ შეიცვალოს რიცხვით „90514“.

ბ) პროგრამის პირველი მუხლის მე-5 პუნქტში რიცხვი „6400“ შეიცვალოს რიცხვით „3000“.

2. განკარგულება ძალაში შედის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. განკარგულება შიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით ხაშურის რაიონულ სასამართლოში (ქ.ხაშური, კოსტავას ქ. #15) ერთი თვის ვადაში.

საკრებულოს თავმჯდომარე



დავით ლომიძე